

მაგისტრატურაში მისაღები საჯარო მმართველობის სპეციალობის გამოცდა

საჯარო მმართველობაში ტესტირება

ტესტის ნიმუში და პასუხები

იურიდიულ და სოციალურ
მეცნიერებათა ფაკულტეტი, 2023

საჯარო მმართველობის სპეციალობის გამოცდის ფორმა: *პირისპირ, წერილობითი/ტესტირება*
ტესტის სტრუქტურა: *ტესტი შედგენა 50 დახურული ტიპის კითხვისგან;*
ქულების განაწილება და მინიმალური ზღვარი: *თითოეული შეკითხვის მაქსიმალური შეფასება - 2 ქულა; ტესტის მაქსიმალური შეფასება - 100 ქულა, რომლიდანაც კანდიდატმა გამოცდის ჩასაბარებლად უნდა დააგროვოს 50 ქულა;*

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შიდასაუნივერსიტეტო მისაღები გამოცდის პროგრამა

შინაარსი

საქართველოს კონსტიტუცია

თემა 1. ზოგადი დებულებები

კონსტიტუციის ცნება, არსი და მნიშვნელობა. კონსტიტუციის უზენაესობა. საქართველოს კონსტიტუცია – ქვეყნის უზენაესი კანონი. საქართველოს კონსტიტუციის სისტემა. საქართველოს კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის წესი.

სახელმწიფო სუვერენიტეტი. საქართველო, როგორც დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია. საქართველო სახელმწიფო სიმბოლოები. საქართველო, როგორც დემოკრატიული რესპუბლიკა. საქართველო, როგორც სამართლებრივი სახელმწიფო. საქართველო, როგორც სოციალური სახელმწიფო. ეკონომიკური თავისუფლება. საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საფუძვლები. სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა.

თემა II. საქართველოს პარლამენტი

პარლამენტის სტატუსი და უფლებამოსილება. საქართველოს პარლამენტი - ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო. პარლამენტის არჩევნები. უფლებამოსილების ვადა. კომპეტენცია და სტრუქტურა. პარლამენტის პირველი სხდომა და უფლებამოსილების შეწყვეტა. საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსი. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილეები. პარლამენტის ბიურო, კომიტეტები და ფრაქციები. პარლამენტის საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიები. პარლამენტის წევრის კითხვა და ინტერპელაცია. პარლამენტის სესია და სხდომა. იმპიჩმენტი.

თემა III. საქართველოს პრეზიდენტი

საქართველოს პრეზიდენტის სტატუსი. საქართველოს პრეზიდენტი, როგორც საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი.

საქართველოს პრეზიდენტი, როგორც საქართველოს თავდაცვის ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. საქართველოს პრეზიდენტის არჩევის წესი. საქართველოს პრეზიდენტის ფიცი, უფლებამოსილების შეწყვეტა, იმუნიტეტი, შეუთავსებლობა და უფლებამონაცვლეობა. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებები. საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი. თანახელმოწერა.

თემა IV. საქართველოს მთავრობა

საქართველოს მთავრობა, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო. მთავრობის ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებელობა პარლამენტის წინაშე. მთავრობის შემადგენლობა. სამინისტრო. სახელმწიფო მინისტრი. სახელმწიფო რწმუნებულები. საქართველოს პრემიერ-მინისტრი, როგორც მთავრობის მეთაური. საქართველოს მთავრობისადმი ნდობის გამოცხადება. საქართველოს მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადება. ნდობის გამოცხადება პრემიერ-მინისტრის ინიციატივით.

თემა V. სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი

სახელმწიფო ბიუჯეტი. გადასახადები და მოსაკრებლები, ეკონომიკური პოლიტიკა. ეროვნული ბანკი. სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

თემა VI. სახელმწიფოს თავდაცვა და უსაფრთხოება

თავდაცვის ძალები. საგანგებო და საომარი მდგომარეობის გამოცხადების წესი. გადაწყვეტილება საომარი მდგომარეობის დროს თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ. გადაწყვეტილება საგანგებო მდგომარეობის დროს თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ. ეროვნული თავდაცვის საბჭო.

თემა VII. ადგილობრივი თვითმმართველობა

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საზღვრები, სამართლებრივი საფუძვლები. თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებები. ადგილობრივი თვითმმართველობის გარანტიები.

ლიტერატურა:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს 2014 წლის 5 თებერვლის ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
- „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 26 დეკემბრის ორგანული კანონი;
- „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს 2004 წლის 11 თებერვლის კანონი;
- ი. კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2019.

ქვემოთ მაგალითისთვის/ნიმუშის სახით წარმოდგენილია რამდენიმე დავალება და სწორი პასუხები

ტესტის ნიმუშები:

1. საქართველოს პრემიერ-მინისტრს თანამდებობაზე ნიშნავს:

ა. საქართველოს პრეზიდენტი.
ბ. პარლამენტის თავმჯდომარე.
გ. საქართველოს პარლამენტი.
დ. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.

2. მომდევნო საბიუჯეტო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს პარლამენტს წარუდგენს:

ა. მთავრობა.
ბ. პრეზიდენტი.
გ. ფინანსთა მინისტრი.
დ. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი.

3. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია:

ა. 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით.
ბ. 1991 წლის 9 აპრილის მდგომარეობით.
გ. 1991 წლის 31 მარტის მდგომარეობით.
დ. 1991 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

4. საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დაცვას ზედამხედველობს:

ა. საქართველოს სახალხო დამცველი, რომელსაც 4 წლის ვადით ირჩევს პარლამენტი.
ბ. საქართველოს მთავარი პროკურორი, რომელსაც 5 წლის ვადით ირჩევს პარლამენტი.
გ. საქართველოს მთავარი პროკურორი, რომელსაც 3 წლის ვადით ირჩევს პარლამენტი.
დ. საქართველოს სახალხო დამცველი, რომელსაც 6 წლის ვადით ირჩევს პარლამენტი.

5. პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე

ა. 30 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელს მაინც.
ბ. 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 8 წელს მაინც.
გ. 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 10 წელს მაინც.
დ. 28 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელს მაინც.

6. საქართველოს პრეზიდენტს 5 წლის ვადით ირჩევს:

ა. საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე, ფარული კენჭისყრით.
ბ. საქართველოს პარლამენტი, ღია კენჭისყრით.
გ. საქართველოს პარლამენტი, ფარული კენჭისყრით.
დ. საარჩევნო კოლეგია, ღია კენჭისყრით.

7. საქართველოს სახელმწიფო ენა არის:

ა. ქართული და აფხაზური;
ბ. ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - აგრეთვე აფხაზური.
გ. ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - აფხაზური.
დ. მხოლოდ ქართული.

8. საქართველოს პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს:

ა. პარლამენტის თავმჯდომარე
ბ. საქართველოს პრემიერ მინისტრი
გ. ვიცე პრეზიდენტი
დ. ვიცე პრემიერი

სწორი პასუხები:

დავალება №	სწორი პასუხი
1	ა
2	ა
3	ა
4	დ
5	გ
6	დ
7	ბ
8	ა